მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2015 წლის 12 ივნისი

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არ მქონე და იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც დროებით არ იმოქმედებს ,,ნარჩენების მართვის კოდექსი"-ით გათვალისწინებული სანქციები

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და საქართველოს კანონის „მყარი ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არ მქონე მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიები, სადაც ფიზიკური პირებისთვის, 2016 წლის 15 იანვრამდე, არ იმოქმედებს სანქციები:

1. 2კგ–მდე მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებაზე.
2. 2კგ ან მეტი ოდენობის მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებაზე.
3. დიდი მოცულობის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებაზე.

მუხლი 2

განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიები, სადაც 2016 წლის 15 იანვრამდე არ იმოქმედებს სანქცია, ფოთლების, ბაღის ნარჩენების, საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენის ღია წესით დაწვაზე.

მუხლი 3

განისაზღვროს დანართი 2–ის შესაბამისად მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიები, სადაც 2016 წლის 15 იანვრამდე არ იმოქმედებს სანქცია, შინაური ცხოველის ფეკალური მასებით ტერიტორიის დაბინძურებისათვის.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 15 ივნისიდან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნაბი აბდულაევი**

დანართი №1

ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიები

1. მარნეულის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა შემდეგში მითითებული ტერიტორიებისა: სამედ ვურღუნი, რუსთაველი, 26 მაისი, აღმაშენებელი, გამსახურდია, კოსტავა, 26 მაისის მოედანი, ძველი "ალგეთის ლეკვები"-ს ტერიტორია, კულტურის სახლის სკვერი; სამედ ვურღუნის მოედანი; ყიზილაჯლო; ნარიმანოვის ქუჩა; გოგებაშვილის ქუჩა; კოსტავას ქუჩა; ყარყარაშვილისა და ერეკლე II ქუჩები; ბორჩალოელის ქუჩა; გიორგაძის ქუჩა; მაზნიაშვილის ქუჩა; 26 მაისის ქუჩა, ჩიხი IV; რუსთაველის ქუჩის №3; 5; 6; 7; 9; 11; 18; 20; 21; 23; 37; 39; 41; 44; 46; 48; 49; 50; 52; 77; 81; 81ა; 86; 86ა; 87; 89; 86ბ; 104; 118; ნარიმანოვის ქუჩა №1; მაზნიაშვილის ქუჩა; გამსახურდიას ქუჩა; ჩოლოყაშვილის ქუჩა; იაღლუჯის ქუჩა; სამხედრო ქალაქი №1; ჯავახიშვილის ქუჩა; ალგეთის ქუჩა; იაღლუჯის ქუჩა; სულხან საბას ქუჩა);
2. ოფრეთის ადმინისტრაციული ერთეული;
3. კასუმლოს ადმინისტრაციული ერთეული;
4. კაპანახჩის ადმინისტრაციული ერთეული;
5. კაჩაგნის ადმინისტრაციული ერთეული;
6. დამია–გეურარხის ადმინისტრაციული ერთეული;
7. ახკეპის ადმინისტრაციული ერთეული;

8. ქუთლიარის ადმინისტრაციული ერთეული;
9. სადახლოს ადმინისტრაციული ერთეული;
10. შაუმიანის ადმინისტრაციული ერთეული;
11. შულავერის ადმინისტრაციული ერთეული;
12. თამარისის ადმინისტრაციული ერთეული;
13. წერაქვის ადმინისტრაციული ერთეული;
14. წერეთლის ადმინისტრაციული ერთეული;
15. ხოჯორნის ადმინისტრაციული ერთეული;
16. ყიზილ–აჯლოს ადმინისტრაციული ერთეული;
17. ყულარის ადმინისტრაციული ერთეული;
18. ალგეთის ადმინისტრაციული ერთეული;

დანართი №2

მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიები, სადაც შინაური ცხოველის ფეკალური მასებით ტერიტორიის დაბინძურებისათვის 2016 წლის 15 იანვრამდე არ იმოქმედებს სანქცია

1. მარნეულის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა შემდეგში მითითებული ტერიტორიებისა: სამედ ვურღუნი, რუსთაველი, 26 მაისი, აღმაშენებელი, გამსახურდია, კოსტავა, 26 მაისის მოედანი, ძველი "ალგეთის ლეკვები"-ს ტერიტორია, კულტურის სახლის სკვერი; სამედ ვურღუნის მოედანი; ყიზილაჯლო; ნარიმანოვის ქუჩა; გოგებაშვილის ქუჩა; კოსტავას ქუჩა; ყარყარაშვილისა და ერეკლე II ქუჩები; ბორჩალოელის ქუჩა; გიორგაძის ქუჩა; მაზნიაშვილის ქუჩა; 26 მაისის ქუჩა, ჩიხი IV; რუსთაველის ქუჩის №3; 5; 6; 7; 9; 11; 18; 20; 21; 23; 37; 39; 41; 44; 46; 48; 49; 50; 52; 77; 81; 81ა; 86; 86ა; 87; 89; 86ბ; 104; 118; ნარიმანოვის ქუჩა №1; მაზნიაშვილის ქუჩა; გამსახურდიას ქუჩა; ჩოლოყაშვილის ქუჩა; იაღლუჯის ქუჩა; სამხედრო ქალაქი №1; ჯავახიშვილის ქუჩა; ალგეთის ქუჩა; იაღლუჯის ქუჩა; სულხან საბას ქუჩა).
2. ოფრეთის ადმინისტრაციული ერთეული;
3. კასუმლოს ადმინისტრაციული ერთეული;
4. კაპანახჩის ადმინისტრაციული ერთეული;
5. კაჩაგნის ადმინისტრაციული ერთეული;
6. დამია–გეურარხის ადმინისტრაციული ერთეული;
7. ახკეპის ადმინისტრაციული ერთეული;
8. ქუთლიარის ადმინისტრაციული ერთეული;
9. სადახლოს ადმინისტრაციული ერთეული;
10. შაუმიანის ადმინისტრაციული ერთეული;
11. შულავერის ადმინისტრაციული ერთეული;
12. თამარისის ადმინისტრაციული ერთეული;
13. წერაქვის ადმინისტრაციული ერთეული;
14. წერეთლის ადმინისტრაციული ერთეული;
15. ხოჯორნის ადმინისტრაციული ერთეული;
16. ყიზილ–აჯლოს ადმინისტრაციული ერთეული;
17. ყულარის ადმინისტრაციული ერთეული;
18. ალგეთის ადმინისტრაციული ერთეული.